

საარჩევნო ბლოკი «ეროვნული საბჭო» რეგისტრირებულია ცენტ. საარჩევნო კომისიის მიერ. 17.04.2010

ეროვნული საბჭო ეროვნული თვითმყოფადობის შესახებ

საქართველოს მოსახლეობა ყოველწლიურად 0,33 % იკლებს. საქართველოს მოსახლეობა 2002 წლიდან (4,960,951) 2009 წლამდე (4.615.807) სულ 345,144 ადამიანით ანუ 7%-ით შემცირდა.

ამ მონაცემების მიხედვით საქართველო მსოფლიოს 233 ქვეყანას შორის 221-ე ადგილს იკავებს, შედარებისთვის სომხეთის მოსახლეობა ყოველწლიურად მხოლოდ 0,03 %-ით იკლებს (205-ე ადგილი), ხოლო აზერბაიჯანის მოსახლეობა 0,76 %-ით იზრდება (143-ე ადგილი). ზოგიერთი ექსპერტის პროგნოზით ამ ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში ეთნიკური ქართველები უკვე 2050 წლისათვის საქართველოს მოსახლეობის ერთ-ერთი უმცირესობა იქნება.

<https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/rankorder/2002rank.html?countryName=Georgia&countryCode=gg®ionCode=me&rank=221#gg>

მოსახლეობის კლების ძირითად ფაქტორებად შეიძლება ჩაითვალოს:

შობადობის დაბალი დონე 10,66 ყოველ 1000 ადამიანზე (შედარებისთვის: 2002 წელს - 11,48); და

მზარდი იმიგრაცია: 4,26 ყოველ 1000 ადამიანზე (შედარებისთვის: 2002 - 2,39).

ეროვნული საბჭოს პროგრამა მრავალშვილიანი ოჯახებისათვის:

ეროვნული საბჭო გამარჯვების შემდეგ დაიწყებს მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას ადგილობრივი ბიუჯეტიდან. სამი და მეტშვილიანი ოჯახები, რომელთაც არა აქვთ საკმარისი შემოსავალი, გადაეცემათ ჯანდაცვის დაზღვევის სრული პაკეტი, რომელიც მოიცავს უფასო წამალს, უფასო ექიმს, უფასო მშობიარობას, უფასო ჰოსპიტალიზაციას. ასევე, ეროვნული საბჭოს შესაბამისი პროგრამით ისინი მიიღებენ უფასო სასკოლო სახელმძღვანელოებს.